საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 8663/01
10/09/2020

8663-01-2-202009100946

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2020 წლის პირველი სექტემბრის სკრინინგის განცხადება N13821, რომელიც ეხება ტყიბულის მუნიციპალიტეტში, მდ. ტყიბულას ნაპირსამაგრი (ნაპირდაცვითი) სამუშაოების განხორციელებას. გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი არ არის და დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხები:

- სკრინინგის განცხადებაში მითითებულია, რომ პროექტის ფარგლებში დაგეგმილია მდ. ტყიბულას კალაპოტის გაწმენდა და ნაპირებზე ნაყარი გრუნტის ბერმების მოწყობა, ხოლო შემდგომ აღნიშნულია, რომ „გარემოზე უარყოფითი ზემოქმედებები გაბიონის ნაგებობის მშენებლობის პერიოდში არ მოხდება“. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს რა ტიპის ჰიდროტექნიკური ნაგებობის მოწყობა იგეგმება აღნიშნული პროექტის ფარგლებში, გაბიონის თუ ბერმის;
- სკრინინგის განცხადებაში აღნიშნულია, რომ კუმულაციური ზემოქმედების მნიშვნელობა იქნება დაბალი, თუმცა არაა მოცემული ინფორმაცია საპროექტო ტერიტორიაზე არსებული ფონური მდგომარეობისა და იმ საქმიანობების შესახებ, რასთან მიმართებითაც დაგეგმილ პროექტს შეიძლება ჰქონდეს კუმულაციური ზემოქმედება;
- სკრინინგის განცხადებაში არ არის წარმოდგენილი საპროექტო ტერიტორიიდან უახლოეს საცხოვრებელ სახლთან და საკარმიდამო ნაკვეთებთან დაცილების მანძილები;
- სკრინინგის განცხადება უნდა მოიცავდეს ინფორმაციას ნაპირსამაგრი ღონისძიებების განხორციელების ეტაპზე იქტიოფაუნაზე ზემოქმედების შესახებ;
- ნაპირსამაგრი ნაგებობის შესაფასებლად, საჭიროა წარმოდგენილ იქნეს ინფორმაცია მდ. ტყიბულას წყლის მაქსიმალური ხარჯისა და კალაპოტის ზოგადი გარეცხვის სიღრმის შესახებ, **გამოყენებული ფორმულების მითითებით,** ასევე თანდართულ ჰიდროლოგიურ ინფორმაციაში მოცემული უნდა იქნეს გაზომვებისა და გაანგარიშებების დროს მიღებული და გამოყენებული ჰიდრავლიკური ელემენტების პარამეტრები ცხრილის სახით;
- სკრინინგის განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს ერთიანი შრიფტით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს

0159, საქართველო, თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6. ტელ.: +(995 32) 2378013 / +(995 32) 2378044
www.mepa.gov.ge
6, Marshal Gelovani ave., Tbilisi 0159, Georgia, Phone.:+(995 32) 2378013 / +(995 32) 2378044

ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით გადამუშავებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე